



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №51

2018 წელი 21 აგვისტო

ქ.ბათუმი

იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამის - „ადამიანის უსაფრთხოების“ ფარგლებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაზე გრანტის მიღების და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების თანხმობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-100 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს, იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამის - „ადამიანის უსაფრთხოების“ ფარგლებში, მიიღოს მონაწილეობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელით შემდეგი მიმართულებით - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში“, აიღოს გრანტი და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს (თეიმურაზ გაწერილია).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე